საქართველოს მთავრობის

დადგენილება

N638 2015 წლის 18 დეკემბერი ქ. თბილისი

„საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აპრილის №98 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აპრილის №98 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 30/04/2013, 010240030.10.003.017261) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების:

1. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება;“;

ბ) „უ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„უ) ნარჩენების მართვის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;“;

გ) „უ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „უ[1]“ ქვეპუნქტი:

„უ[1]) ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება, განხორციელების კოორდინაცია და საქართველოს მთავრობისათვის მისი განხორციელების შესახებ ანგარიშის წარდგენა;“;

დ) „შ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „შ[1]“ ქვეპუნქტი:

„შ[1]) კომპეტენციის ფარგლებში ევროინტეგრაციის პროცესში მონაწილეობა და ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი გარემოსდაცვითი ვალდებულების შესრულება;“.

2. მე-4 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ი[1]“ ქვეპუნქტი:

„ი[1]) სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს მიმართვის შესაბამისად, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე ახორციელებს სასამართლო წარმომადგენლობას;“.

3. მე-6 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) ეროვნული საშენი მეურნეობა;“;

გ) მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ“ ქვეპუნქტი:

„ვ) ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო.“.

4. მე-8 მუხლის:

ა) მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ქვეყანაში მდგრადი განვითარებისა და მწვანე ეკონომიკის პრინციპების დანერგვის ხელშეწყობა;“;

ბ) მე-4 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ[1]“ ქვეპუნქტი:

„ზ[1]) კომპეტენციის ფარგლებში, სამინისტროს ევროინტეგრაციის პროცესში მონაწილეობის კოორდინაცია;“;

გ) მე-4 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ი[1]“ და „ი[2]“ ქვეპუნქტები:

„ი[1]) სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფებიდან და სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, კომპეტენციის ფარგლებში, საერთაშორისო წყაროების დაფინანსებით მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების კოორდინაცია და მონიტორინგი;

ი[2]) სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფებიდან და სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე საერთაშორისო წყაროების დაფინანსებით მიმდინარე და დასრულებული პროექტების ელექტრონული ბაზის წარმოება;“;

დ) მე-6 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

ე) მე-10 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ვ) მე-11 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) კომპეტენციის ფარგლებში, ნარჩენების მართვის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება და ქიმიური ნივთიერებების მართვის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილეობა;

ბ) ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიისა და ბიოდეგრადირებადი მუნიციპალური ნარჩენების მართვის სტრატეგიის შემუშავება;“;

ზ) მე-11 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ[1]“ ქვეპუნქტი:

„ბ[1]) ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება და მისი განხორციელების კოორდინაცია;“;

თ) მე-11 პუნქტის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების შესახებ ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება და მისი განხორციელების კოორდინაცია;

თ) ნაგავსაყრელების განთავსების ადგილების განსაზღვრაში მონაწილეობა;“;

ი) მე-11 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) გამოსაყენებლად ნებადართული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სახელმწიფო კატალოგის შეთანხმება;“;

კ) მე-11 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ლ[1]“ და „ლ[2]“ ქვეპუნქტები:

„ლ[1]) ნარჩენების პრევენციის, სეპარირების, წინასწარი დამუშავების, ხელახალი გამოყენებისა და რეციკლირების ხელშეწყობა;

ლ[2]) ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საქმიანობის რეგისტრაცია;“;

ლ) მე-12 პუნქტის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) სათბურის გაზების ეროვნული ინვენტარიზაციის პერიოდული ანგარიშის კონვენციის სამდივნოსათვის წარდგენა;

ზ) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის კიოტოს ოქმით განსაზღვრული პოლიტიკის განხორციელების უზრუნველყოფა, სუფთა განვითარების მექანიზმის (სგმ) და სხვა საბაზრო მექანიზმების განხორციელების ხელშეწყობა და დაინტერესებულ მხარეთა კოორდინაცია;“;

მ) მე-12 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ[1]“, „ზ[2]“ და „ზ[3]“ ქვეპუნქტები:

„ზ[1]) მწვანე კლიმატის ფონდიდან კლიმატის ცვლილების შერბილებისა და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის პროექტებისა და პროგრამების დაფინანსების მოზიდვის უზრუნველყოფა;

ზ[2]) კომპეტენციის ფარგლებში, მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა;

ზ[3]) მერების შეთანხმების ხელმომწერი თვითმმართველი ქალაქისა და/ან თვითმმართველი თემისთვის (მუნიციპალიტეტი) მდგრადი ენერგეტიკული სამოქმედო გეგმების მომზადების ხელშეწყობა;".

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2016 წლის 4 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**